ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1210051

ნომერი: AR1209110

თარიღი : 02.04.2014

გაცემის თარიღი : 07.04.2014

გაცნობის თარიღი : 07.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 21 , (ნაკვეთი 08/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით აფრიდონიძე პ/ნ 60001042042
- თბილისი ქვიშხეთის ქ. კორ. 5 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შპს "წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო" კოდი: 202901832

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. სავენტილაციო მილი უნდა ასცდეს არსებული შენობის სახურავს. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ფოტოსურათი შედარებით შორი მანძილიდან გადაღებული და მასზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი, დეტალურად მასალისა და ზომების დატანით.

2. "მოთხოვნის ტექსტი"–ს გრაფაში დაკონკრეტდეს ის გარემოება, თუ უშუალოდ ვის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე უნდა განხორციელდეს მილის მონტაჟი. იმ შემთხვევაში თუ მილი ეწყობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი"–ს კუთვნილ ფართზეც (აღნიშნული გარემოება ეჭვქვეშ დადგენა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ ამონაწერზე დაყრდნობით, რომლის თანახმად "ბ" ფლიგელში არსებული ფართის ნაწილი "ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი"–ს საკუთრებაშიც ირიცხება), წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ორგანიზაციის თანხმობა (დამოწმებული შესაბამისი ფორმით), სავენტილაციო მილის მონტაჟთან დაკავშირებით.

3. ამონაწერში საჯარო რეესტრიდან სარეკონსტრუქციო ფართზე ირიცხება გარკვეული ვალდებულება. წარმოდგენილი იქნას შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია ვალდებულების პირობები.

4. საკადასტრო გეგმაზე მოინიშნოს საპროექტო მილის განთავსების არეალი. იმ შემთხვევაში კი თუ მილი გადადის მომიჯნავე ნაკვეთის საზღვრებში, წარმოსადგენი იქნება აღნიშნული ნაკვეთის მესაკუთრეთა თანხმობა (დამოწმებული შესაბამისი ფორმით) სავენტილაციო მილის მოწყობასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.